დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული

დროებითი კანონპროექტი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლისა.

/კან.და მთავრ.განკარ.კრებული 1919წ.№I კან.8/.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში /კან.და მთავრ.განკარ. № I კან.8/ დროებით შემოღებულ იქნეს შემდეგი ცვლილებანი.

I. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულ ნაფიც მსაჯულს მიეცემა გაცდენისათვის დღიურად 150 მან., ხოლო გზის ხარჯად ვერსზე 10 მანეთი /დებ.ნაწ.I მუხ.2/ უკეთუ მისი საცხოვრებელი ათ ვერსზე მეტით არის დაშორებული სასამართლოს სხდომის ადგილიდან.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ ხარჯის დასაფარავად გაღებულ იქნეს ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ყოველ თვიურად ორასი ათასი /200.000/ მანეთი, ხოლო ამა 1920 წლის მარტის I-დან ივნისის I-დე ექვსასი ათასი /600.000/ მანეთი.

3. არაკანონიერი მიზეზებით სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის ნაფიცი მსაჯული დაისჯება პირველად და მეორედ დაჯარიმებით ორასი /200/ მანეთიდან ათას /I.000/ მანეთამდე, მესამედ გარდა ფულით დაჯარიმებისა, პასუხის მგებლობით, სასჯელთა დებულების თანახმად.

4. დროებითი კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

სარედაქციო კომისიის მიერ შესწორებული

დროებითი კანონი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლისა.

/ კან.და მთავრ.განკარ.კრებული 1919 წ.№ I კან.8/.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში /კან.და მთავრ.განკარ. № I კან.8/ დროებით შემოღებულ იქნეს შემდეგი ცვლილება.

I. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულ ნაფიც მსაჯულს მიეცემა გასამრჯელოდ დღიურად 150 მან., ხოლო გზის ხარჯად ვერსზე 10 მ. /დებ.ნაწ.I მუხ.2/ უკეთუ მისი ადგილ-საცხოვრებელი ათ ვერსზე მეტით არის დაშორებული სასამართლოს სხდომის ადგილს.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ხარჯის დასაფარავად გაღებულ იქნეს ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ყოველ თვიურად ორასი-ათასი /200.000/ მანეთი, ხოლო ამა 1920 წლის მარტის I-დან ივნისის I-დე ექვსასი ათასი /600.000/მანეთი.

3. არაკანონიერი მიზეზებით სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის ნაფიცი მსაჯული დაისჯება პირველად და მეორედ დაჯარიმებით ორასი /200/ მანეთიდან ათას /I.000/ მანეთამდე, მესამედ, გარდა ფულით დაჯარიმებისა, პასუხის მგებლობით, სასჯელთა დებულების თანახმად.

4. დროებითი კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

სარედაქციო კომისიის

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

მ დ ი ვ ა ნ ი